ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №42

15 სექტემბერი

2021 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს

ბიუროს წევრთა

სარეგისტრაციო სია

15 სექტემბერი, 2021 წელი.

ბიუროს რიგგარეშე სხდომა № 42

1. ნუგზარ ჯამბურია -
2. კობა ძიძიგური -
3. მანანა სირბილაძე -
4. შალვა არზუმანიანი-
5. ბადრი შენგელია -
6. მერაბ უღრელიძე -
7. გიორგი ლეჟავა -
8. ტარიელ დვალიშვილი -
9. ემზარ შუბლაძე -
10. რაჟდენ ტორონჯაძე -
11. დავით ამაღლობელი
12. ხვიჩა ფანცულაია -
13. ავთანდილ თადუმაძე -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 42

ქ. სამტრედია. 15 სექტემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 15 სექტემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე,

კამო კანდელაკი მ/შ. ხვიჩა ფანცულაია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოქალაქეები: აკაკი კომახიძე და ჯემალ რუხაძე.

სხდომის თაემჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მომართვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

3. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, (11 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. ***2021 წლის 07 სექტემბრის*** N 62-622125074, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2019 წელს გაფორმებული ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშს. აუდიტის მიერ მიმდინარე წელს განხორციელდა ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას" აუდიტორული შემოწმება. ანგარიში ინფორმაციის სახით უნდა ეცნობოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

2. *2021 წლის 09 სექტემბრის N* 62-622125296, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისმოვალეობის შემსრულებლის წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეის 2021 წლის ბიუჯეტის 8 თვის შესრულების ანალიზს, თანდართული დოკუმენტაციების შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, *2021 წლის 15 სექტემბრის* N 63-63212582 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით დანიშნულია იურიდიული კომისიის სხდომა, რომელიც თავის გადაწყვეტილებით მიმართავს ბიუროს. გადაწყვეტილებაში მითითებული იქნება შესაბამისი არგუმენტებიც და მიზეზებიც. წესისამებრ, დაცული იქნება რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა პროცედურა.

კობა ძიძიგური - მე მაქვს ჩემი აზრის გამოთქმის უფლება. მე, ამ შემთხვევაში პოლიტიკურად ვიდეევნები, ვინაიდან მაქვს ჩემი შეხედულება, რომლის გამოც გადავედი გახარიას გუნდში. შემიძლია ჩამოვაყალიბო. ბოლო წუთამდე ფაქტიურად ვიდექი ქართული ოცნების გვერდით, მასთან ერთად მოვიაზრებოდი იმ შემთხვევამდე, სანამ ივანიშვილი თვითონ არ წავიდა ქართული ოცნებიდან და მას შემდეგ, რაც გახარიამ დატოვა ქართული ოცნება, პრემიერ მინისტრის პოსტი და გადავიდა ოპოზიციაში. ის ადამიანები, რომლებიც ფაქტიურად მთავარი ფიგურები იყვნენ ქართული ოცნების, მიატოვეს პარტია და ბატონმა გახარიამ ოპოზიციური პარტია შექმნა და იბრძვის ისევ ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად. მანამდე თუ კი ქონდა „ქართულ ოცნება"-ს შესაძლებლობა იმისი, რომ ქვეყანაში კრიზისი დაეძლია ეხლა დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ვერ შეძლებს ქართული ოცნების გუნდი ამ კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანას. ამ პრობლემის მოგვარება შეუძლია მხოლოდ გახარიას გუნდს. მას აქვს ამისი შესაძლებლობა და რეალური სურვილიც. მე მაინტერესებს ვინ არის ორგანიზატორი, ვისი დაკვეთით ხდება ეს ჩემი პოლიტიკური რეპრესია და ზეწოლა. სასწრაფო რეჟიმში რატომ გახდა აუცილებელი ჩემი ჩამოშორება. შევარდნაძის და ააკაშვილის რეჟიმზე გადახვედით და ხელმძღვანელობთ მათი მეთოდებით.

ნუგზარ ჯამბურია - ბატონო კობა, თქვენ ძალიან კარგად იცით ის, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ერთად გაგვიწევია ჭაპანი, კეთილდღეობისათვის ნებისმიერი საკითხი, რომელიც საკრებულოს და მერიის შიდა პროცესები იყო დამსხდარვართ, გაგვიანალიზებია და ჩვენს წილ აგურს ვდებდით ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მე-4 მოწვევის საკრებულოს სხდომაზე, ჩემს მიერ იქნა დასახელებული თქვენი კანდიდატურა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. თქვენი ბრალდების თაობაზე განმარტებას ბიუროს სხდომაზე ვაპირებდი; მაგრამ ეხლა მოგახსენეთ. თუ ამ ხნის განმავლობაში კობა ძიძიგური, ვერ აფასებდა ჩემს მისდამი დამოკიდებულებას, (თქვენ აბსენეთ ზეწოლა და პოლიტიკური დევნა), ნამდვილად შეურაცყოფილი ვარ. ის რაც ხდება დღეს, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არ ხდება არავის ზეწოლით, მე ჩავთვალე, რომ ამ ჩვენი 7 წლიანი ადამიანური ურთიერთობის შემდეგ, თქვენი გადასვლა ოპოზიციურ ფრთაში არ იყო მიზანშეწონილი. მე ვიყენებ ჩემს უფლებამოსილებას, სადაც მაქვს საკრებულოს მოადგილის კანდიდატის, როგორც დასახელების, ისე გადაყენების შესახებ წერილობით მივმართო საკრებულოს. საკრებულოს გადასაწყვეტია დააკმაყოფილებს თუ არ ჩემს მოთხოვნას. შეგიძლიათ მოიკვლიოთ, მოიძიოთ და ისე წამიყენოთ ბრალდება. თუმცა ვერაფერსაც ვერ იპოვით, იმიტომ, რომ მე ეს გადაწყვეტილება მივიღე პირადად ჩემი და ჩვენი გუნდის მსჯელობისა და გადაწყვეტილების შემდეგ. ბატონო კობა, თქვენ 10 სექტემბერს გამოხვედით შვებულებიდან. შევხვდით ერთმანეთს და ვუთხარით სათქმელი, რაც ამ თემასთან იყო დაკავშირებული. მე უკვე ვიცოდი თქვენი გადაწყვეტილების შესახებ და გულწრფელად გითხარით, რომ ეს სხვისგან არ უნდა გამეგო. აქედან გამოსავალი არის ორი გზა: ერთი, თქვენი პირადი გაწცხადება და მეორე ის, რაც მე გავაკეთე. არავითარი ზეწოლა არ ყოფილა არც ადგილობრივი ხელისუფლებისაგან და არც ზემდგომისაგან. მე ვაძლევ ჩემს თავს უფლებას და შეგახსენებთ 2019 წლის 22 ნოემბრის საკრებულოს სხომაზე თქვენს მიერ ნათქვამ განცხადებას: ,, მე ჩემი მოსაზრება ბიუროს სხდომაზე დავაფიქსირე და მინდა საკრებულოზე ჩემი განცხადება და დამოკიდებულება მოგახსენოთ, მით უმეტეს ასეთი იმედი აქვთ თურმე ჩვენს ოპოზიციას, რომ მეც უნდა დავტოვო და საერთოდ ყველამ უნდა დავტოვოთ პოზიციები და თანამდებობები. ზვიად ძიძიგურმა პიროვნულად დატოვა თავისი თანამდებობა და გამოვიდა უმრავლესობიდან, მასთან ერთად პარლამენტის წევრებმა ნიკა ბუკიამ და ნინო გოგუაძემ, რომლებიც ასევე კონსერვატიული პარტიის წევრები არიან. ეს განცხადება მათ გააკეთეს თავისი პიროვნული სახელით. აქ არ იყო ნახსენები, რომ კონსერვატიულმა პარტიამ დატოვა ქართული ოცნების რიგები და მათი წევრები ოპოზიციაში გადასვლას გეგმავს. ეს ასე არ არის. მე ვრჩები ჩემს პოზიციაზე. ჩვენი კონსერვატიული პარტია რჩება ისევ ქართული ოცნების გვერდით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართულმა ოცნებამ ამ წლების განმავლობაში, რაც ის ხელისუფლებაშია, უდიდესი მნიშვნელობის სასიკეთო საქმეები გააკეთა და ბევრი კარგი წამოწყება აქვს. ამდენად არც უფლება გვაქვს და არც ვაპირებთ ოპოზიციურ დაჯგუფებაში გადავიდეთ. ჩვენ ვრჩებით ქართულ ოცნებასთან და ვაგრძელებთ ქვეყნის აღმშენებლობისათვის საქმიანობას".

ამ განცხადების შემდეგ თქვენ, ჩვენთან ერთად აგრძელებდით თანამშრომლობას და არ ყოფილა წინა პირობა იმისა, რომ ჩვენი პარტიის საწინააღმდეგოდ, შეგეცვალათ შეხედულებები და მიგეღოთ ის გადაწყვეტილება, რაც მიიღეთ. ამის შემდეგ ხმამაღლა გააკეთეთ ახალი განცხადება და გრძანეთ, რომ გადახვედით ოპოზიციურ პარტიაში. თქვენი იდეოლოგია, მიზნები, სტრატეგია და გეგმები ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის შეხედულებებს და მიზნებს. ეს წარმოადგენს ჩემი გადაწყვეტილების ძირითად საფუძველს. გუნდის გადაწყვეტილებას ვეთანხმები და საკრებულოს წინაშე წარვადგენ ჩემს განცხადებას თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

მანანა სირბილაძე - ორი წლის წინა, მაშინ როდესაც თქვენმა ძმამ დატოვა პარტია და პარლამენტი, სწორედ მაშინ უნდა გაგეკეთებინათ განცხადება და მოქცეულიყავით მის მსგავსად. როგორც ხედავთ

დღეს კოალიციური მთავრობა არ არსებობს. თქვენ შეიცვალეთ ხედვები, მიზნები და დამოკიდებულება. საკრებულოს თავმჯდომარის დღევანდელი განცხადება არ არის ერთპიროვნულად მიღებული, ის ნამსჯელია გუნდთან ერთად და მიღებულია ერთობლივად. საკითხი განსახილველად დაეწერა იურიდიულ საკითხთა კომისიას. რომლის დასკვნის საფუძველზე ბიურო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

სამგრედიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: *ნუგზარ ჯამბურია.*

სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის

საკრებულოს

ბიუროს **რიგგარეშე** სხდომის

ო ქ მ ი № 42

შედგება "--6---" / ივნისი /
ფურცლისაგან

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნუგზარ ჯამბური

2021 წელი